



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 100
 19/12/2018

100-07-4-201812191555



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №100
 2018 წლის 19 დეკემბერი
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული
 პროექტების მოწონების შესახებ


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი

N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	2019 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	პროექტის კატეგორია	რეგ. ფონდი		
					ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	რეგ. ფონდი	სულ
1	2	3	4	5	6	7	8
1	გურია	ლანჩხუთი	ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ მუზეუმთან მისასვლელი გზის აღდგენა	გზები	15,822	300,598	316,420
2	გურია	ლანჩხუთი	ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზებზე რკინა ბეტონის სანიაღვრე არხების და ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა	გზები	50,000	950,000	1,000,000
3	გურია	ლანჩხუთი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ბავშთა საფეხბურთო სკოლის ეზოს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ინვენტარის შექმნა	სპორტული ინფრასტრუქტურა	30,000	570,000	600,000
4	გურია	ლანჩხუთი	ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში საფეხმავლო ბილიკების მოწყობა და გარე განათების რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	12,500	237,500	250,000
5	გურია	ლანჩხუთი	გვიმბალაურის, ღრმადელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	წყალმომარაგება	68,833	1,307,827	1,376,660
6	გურია	ლანჩხუთი	ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია	მრავალბინიანი კორპუსები	7,500	142,500	150,000
7	გურია	ლანჩხუთი	მამათის, ნიგოითის, ჩიბათის, მაჩხვარეთის, აკეთის, აგანის, შუხუთის, ჯურუყვეთის, ღრმადელის, სუფსის, გვიმბალაურის, ჩოჩხათის, ლესის ადმინისტრაციულ ერთეულებში რკინა ბეტონის არხების, რკინა ბეტონის და ასფალტო ბეტონის მოწყობა	გზები	95,000	1,805,000	1,900,000
8	გურია	ლანჩხუთი	მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე სუფსაზე საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია	ხიდი	2,750	52,250	55,000
9	გურია	ლანჩხუთი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლების შიდა გზების განათება	გარე განათება	10,000	90,000	100,000

თ. მანუჩი

10	გურია	ლანჩხუთი	ლესის და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია	წყალი	15,000	285,000	300,000
11	გურია	ლანჩხუთი	ლანჩხუთში 3 სტადიონის მოწყობა (რეაბილიტაცია)	სპორტული ინფრასტრუქტურა	12,000	228,000	240,000
12	გურია	ლანჩხუთი	ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული შენობების ადაპტირება შშმ პირებისთვის	ადმ. შენობები	6,500	123,500	130,000
13	გურია	ლანჩხუთი	სკოლების რეაბილიტაცია	მშენებლობა, რეაბილიტაცია	13,500	256,500	270000
14	გურია	ლანჩხუთი	ღრმადელის ადმინისტრაციულ ერთეულში ღრმადელე-ორმეთი-ომფარეთის გზის რეაბილიტაცია	გზა	180,000	3,420,000	3600000
15	გურია	ლანჩხუთი	ნინოშვილის აშხულატორია	პირველადი ჯანდაცვა	1,000	19,000	20000
16	გურია	ლანჩხუთი	ლესის აშხულატორია	პირველადი ჯანდაცვა	1,000	19,000	20000
17	გურია	ლანჩხუთი	მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შემოღობვა	კულტურული ინფრასტრუქტურა	7,000		7,000
18	გურია	ლანჩხუთი	ნინოშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია	კულტურული ინფრასტრუქტურა	7,500	142,500	150,000
					535,905	9,949,175	10,485,080

მ. მენტი